



სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი



დამტკიცებულია:

27/12/2023 წელი

უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ადმინისტრაციული და
დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო
მოთხოვნები

თბილისი
2023

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემურ შეფასებას.

1.2 უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე და მთავარი სპეციალისტები;

1.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ამტკიცებს აკადემიური საბჭო რექტორის წარდგინების საფუძველზე;

1.4 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამუშაოს აღწერილობა:

ა) კოორდინირებას უწევს სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

გ) განსაზღვრავს თანამშრომელთა მიერ შესრულებულ სამუშაოს, მის მოცულობასა და შესრულების ვადებს;

დ) ხელმძღვანელობს სამსახურის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემუშავებას და გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას;

ე) იწვევს და ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გეგმიურ და რიგგარეშე სხდომებს;

ვ) ამტკიცებს და ხელს აწერს სამსახურის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და დოკუმენტებს;

ზ) ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების ხარისხის მაღალი აკადემიური დონის უზრუნველყოფასა და შენარჩუნებას;

თ) ხელს უწყობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვას;

ი) უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან და ფაკულტეტის დეკანებთან ერთად უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციებისთვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას;

კ) სისტემატურად ატარებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება-ჩატარებისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგს;

ლ) მონიტორინგს უწევს სტუდენტთა მობილობის პროცესს;

მ) შემიმუშავებს მობილობის პროცესთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს;

ნ) ადგენს მობილობით სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვასთან დაკავშირებით პროგრამების თავსებადობას (კრედიტების აღიარებას);

ო) გასცემს სხვა უსდ-ში მობილობის მსურველების/გადასული სტუდენტებისთვის ცნობებსა და საბუთებს და სხვ.

პ) მონაწილეობს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტების შერჩევის პროცესში;

- რ) წარმოადგენს სამსახურს უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან, სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვა მართვის ორგანოებთან მიმართებაში;
- ს) შეიმუშავებს სწავლისა და კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს დადგენილი ინდიკატორების მიხედვით;
- ტ) სისტემატურად აფასებს სწავლისა და კვლევის შედეგებს და მათ შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან;
- უ) უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირთან ურთიერთობისას;
- ფ) ახორციელებს უნივერსიტეტის დებულებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

1.5 ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- ბ) უსდ-ში მუშაობის 6 წლის გამოცდილება, მათ შორის ხარისხის მართვის სფეროში;
- გ) სწავლების უმაღლესი განათლების საფეხურზე არსებული ძირითადი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა;
- დ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ე) ინგლისური ენა B2 დონე (მეტყველება, წერა).

საჭირო უნარები:

- ა) გუნდური მუშაობის უნარი;
- ბ) გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გ) კომუნიკაბელურობა;
- დ) თვითრეფლექსიისა და ანალიზის უნარი;
- ე) ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

1.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.6 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) ხელს უწყობს სამსახურის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზებაში;
- ბ) ანაწილებს და ამუშავებს სამსახურში შემოსულ მასალას;
- გ) მონაწილეობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დოკუმენტების დამუშავებაში;
- გ) ორგანიზებას უწევს სამსახურის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს;
- დ) კონსულტაციას უწევს სტრუქტურულ ერთეულებს ხარისხის მართვის საკითხებში განსახორციელებელ აქტივობებში;
- ე) ასრულებს რექტორისა და სამსახურის უფროსის უშუალო დავალებებს.

1.7 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) უსდ-ში მუშაობის 3 წლის გამოცდილება;
- გ) MS Office პროგრამების ცოდნა;
- დ) ინგლისური ენა B2 დონე (მეტყველება, წერა).

საჭირო უნარები:

- ა) გუნდური მუშაობის უნარი;
- ბ) კომუნიკაბელურობა;
- გ) ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

1.8 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.9 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა:

- ა) მონაწილეობს ავტორიზაციის და აკრედიტაციის ყოველწლიური ანგარიშების, ასევე ავტორიზაციის და აკრედიტაციის კითხვარების მომზადებაში;
- ბ) მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებასა და საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ შეფასებაში;
- გ) მონაწილეობს სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონიტორინგის, ანონიმური გამოკითხვისა და ანკეტირების პროცესში.
- დ) ახორციელებს სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონიტორინგის, ანონიმური გამოკითხვისა და ანკეტირების შედეგების ანალიზს.
- ე) სტუდენტთა კონსულტირება გარე და შიდა მობილობის საკითხებზე
- ვ) ასრულებს სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილის უშუალო დავალებებს.

1.10 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) MS Office პროგრამების ცოდნა;
- გ) პროგრამა eflow-ს ცოდნა;
- დ) ინგლისური ენა B2 დონე (მეტყველება, წერა).

საჭირო უნარები:

- ა) გუნდური მუშაობის უნარი;
- ბ) შემჭიდროვებულ ვადებში დავალებების შესრულების უნარი;
- გ) კომუნიკაბელურობა;
- დ) პასუხისმგებლობა, დეტალებზე ორიენტირებულობა.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

2.1 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რექტორის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

2.2 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს უნივერსიტეტს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან;
- ბ) კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს მოლაპარაკებებს და დებს ხელშეკრულებებს;
- გ) მონაწილეობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მარეგულირებელი აქტების პროექტების შემუშავებაში;
- დ) მონიტორინგს უწევს სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული თანამშრომლების მუშაობას;
- ე) აკონტროლებს უნივერსიტეტში შინაგანაწესის დაცვას;
- ვ) წარადგენს წინადადებებს თანამშრომლის მიმართ წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გატარების შესახებ;
- ზ) ახორციელებს რექტორის ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს.

2.3 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) მაგისტრი ან მასთან გათანებრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) უსდ-ში მენეჯერულ თანამდებობაზე მუშაობის 1 წლის გამოცდილება;
- გ) სწავლების უმაღლესი განათლების საფეხურზე არსებული ძირითადი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა;
- დ) MS Office პროგრამების ცოდნა;
- ე) ინგლისური ენა B2 დონე (მეტყველება, წერა).

საჭირო უნარები:

- ა) გუნდური მუშაობის უნარი;
- ბ) გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გ) კომუნიკაბელურობა;
- დ) თვითრეფლექსიისა და ანალიზის უნარი;
- ე) ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

3. ფაკულტეტის დეკანი

3.1 ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;

3.2 ფაკულტეტის დეკანის სამუშაო აღწერილობა:

- ა) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
- ბ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
- გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- დ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკასა და ხელმძღვანელების კანდიდატურებს;
- ე) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს;
- ვ) კოორდინაციას უწევს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;
- ზ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
- თ) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას;
- ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია სდასუ-ს აკადემიური საბჭოს, რექტორის, აგრეთვე ფაკულტეტისა და სადისერტაციო საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;
- კ) განსაზღვრავს ფაკულტეტის საკომუნიკაციო პოლიტიკას;
- ლ) ორგანიზებას უწევს და წარმართავს საპრეზენტაციო ღონისძიებებს;
- მ) განიხილავს და პასუხობს ფაკულტეტის საბჭოში შემოსულ განცხადებებს, პრეტენზიებსა და საჩივრებს;
- ნ) ახორციელებს ფაკულტეტზე განცხადებით შემოსულ პირთა მიღებას;
- ო) მეთვალყურეობს და ზედამხედველობს ფაკულტეტზე დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და სდასუ-ს შინაგანაწესის დაცვას;
- პ) ისმენს ფაკულტეტის სტრუქტურული დანაყოფებისა და/ან ცალკეული დასაქმებულების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ და ახდენს მათ შეფასებას;
- ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიმართავს რექტორს წინადადებით დასაქმებულთა წახალისებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;
- რ) პასუხისმგებელია ფაკულტეტისთვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;
- ს) თვალყურს ადევნებს სტუდენტთა სარეიტინგო მონაცემებს, მართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს სტუდენტებთან;
- ტ) ქმნის საჭირო პირობებს პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის, აგრეთვე, სტუდენტთა ინდივიდუალური და დამოუკიდებელი სწავლისათვის;
- უ) საბაკალავრო ნაშრომების მომზადება/ჩაბარებასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება, მათ შორის ნაშრომების შემფასებელი კომისიის წევრების დამტკიცების მიზნით ბრძანებების პროექტების მომზადება;

- ფ) მონიტორინგს უწევს სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება-მოწესრიგებასა და დაცვას;
- ქ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დეკანის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
- გ) უმაღლესი განათლების კანონის, სდასუ-ში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების ცოდნა;
- დ) საოფისე პროგრამების ცოდნა.

საჭირო უნარები:

- ა) ორგანიზაციული მართვის უნარი;
- ბ) ეფექტიანი კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი;
- გ) გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- დ) ლიდერობის უნარი.

3.4 ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან თავისუფლებს რექტორი მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად; დეკანის მოადგილე ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანისა და რექტორის წინაშე.

3.5 დეკანის მოადგილის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) კოორდინირებას უწევს ფაკულტეტზე სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე შიდა მობილობის პროცესს და ამზადებს დოკუმენტებს სამართლებრივი აქტების შესაქმნელად;
- ბ) კონსულტაციას უწევს ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველებს;
- გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთათვის რეკომენდაციის გასაცემის პროცედურებს;
- დ) ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის (მოწვეული სპეციალისტები) ხელშეკრულებების გაფორმება/გაგრძელებასთან დაკავშირებით წარდგინებების მომზადება;
- ე) ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში საათობრივი ანაზღაურების წესის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავების პროცესში ფაკულტეტის დეკანის ასისტირება;
- ვ) ფაკულტეტზე მოწვეული სპეციალისტების ყოველთვიური დატვირთვების მონაცემების მომზადება და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის გაგზავნა;
- ზ) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სტუდენტთა განცხადებების საფუძველზე სააპელაციო პროცედურების ორგანიზება, გარდა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებული სააპელაციო პროცედურებისა;
- თ) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის საკვალიფიკაციო დიპლომების გასაცემად საინფორმაციო ბარათების მომზადება;

- ო) ფაკულტეტთან არსებული ლაბორატორიების, ცენტრების და ა.შ. საქმიანობის კოორდინაცია;
- კ) სტუდენტთა რეიტინგის შედგენაში მონაწილეობა;
- ლ) საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის დავალებების შესრულება.

3.6 დეკანის მოადგილის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის 1 წლის გამოცდილება;
- გ) საოფისე პროგრამების (MS Office) ცოდნა;

საჭირო უნარები

- ა) საქმიანი კორესპონდენციის წარმოების უნარი;
- ბ) დეტალებზე ორიენტირებულობა;
- გ) გუნდური მუშაობის უნარი.

4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

4.1 სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვასა და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების პროცესისთვის ხელშეწყობას.

4.2 უნივერსიტეტის საშტატო განრიგით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი;

4.2 სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იგი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

4.3 სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის სამუშაო აღწერილობა:

- ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;
- ბ) გეგმავს და ორგანიზებას უწევს სამსახურის საქმიანობას;
- გ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;
- დ) უნივერსიტეტის რექტორს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;
- ე) მონაწილეობს უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებასა და შესრულებაში;
- ვ) იხილავს და კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების ვიზირებას;
- ზ) უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობაში კანონიერებისა და კონფიდენციალურობის დაცვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

- თ) დადგენილი წესის მიხედვით, იხილავს კორესპოდენციას და კომპეტენციის ფარგლებში წარადგენს წინადადებებს;
- ი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, დარგების ექსპერტებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს წინადადებებს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით;
- კ) ინფორმაციას სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ შემდგომი რეაგირებისთვის გადასცემს ფაკულტეტის დეკანებს და ხარისხის მართვის სამსახურს;
- ლ) ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის (ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება, მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მისაღები ვაკანტური ადგილების და სხვა საჭირო ინფორმაციას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად და ამზადებს დოკუმენტაციას, დადგენილ ვადებში, სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრსა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად;
- მ) განსაზღვრავს სწავლების ყველა საფეხურზე უნივერსიტეტში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა მისაღებად ვაკანტური ადგილების რაოდენობას;
- ნ) ამზადებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ჩარიცხულ პირთა უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩასარიცხად რექტორის ბრძანების პროექტს და გამოცემის შემდეგ მის ასლის წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- ო) მონიტორინგს უწევს სწავლების ყველა საფეხურის საკვალიფიკაციო კომისიების დოკუმენტაციის შედგენას და ამზადებს ბრძანების პროექტს;
- პ) აკონტროლებს უნივერსიტეტის სტუდენტების მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის შეტანას;
- ს) წარმართავს სასპეციალიზაციო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების პროცესს;
- ჟ) წარმართავს დოქტორანტურაში ჩარიცხვის პროცესს;
- რ) ამზადებს ინფორმაციას უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის თაობაზე რექტორის ერთიან აქტთან ერთად სსიპ – გამოცდების ეროვნულ ცენტრში და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად;
- ს) მონიტორინგს უწევს საგამოცდო პროცესის დაგეგმვასა და ორგანიზებას;
- ტ) მონიტორინგს უწევს შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე დამკვირვებლების შერჩევისა და განაწილების პროცესს;
- უ) ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს;
- ფ) იხილავს სასწავლო მიმართულებით სტუდენტთა განცხადებებს;
- ქ) თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურებთან საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან აფილირებული /აკადემიური /მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა მობილობის ხელშესაწყობად;
- ღ) აკონტროლებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის წარმოებას, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის წარმოების წესის შესაბამისად;

ყ) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში.

4.4 სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება;
- გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
- დ) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონე.

საჭირო უნარები:

- ა) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ბ) პასუხისმგებლობის გრძნობა;
- გ) კომუნიკაციის უნარი;
- დ) დროის მართვის უნარი;
- ე) გუნდური მუშაობის უნარი
- ვ) გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

4.4 სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარ სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- ა) სამსახურის ხელმძღვანელს წარუდგენს თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს;
- ბ) ორგანიზებას უწევს სასწავლო პროცესის განხორციელებას;
- გ) ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორის წარმოებას;
- ე) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს გადასცემს სამსახურის უფროსს;
- ვ) ადგენს აკადემიური ჯგუფების მეცადინეობების ცხრილებს;
- ზ) ამოწმებს დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილ აკადემიურ დატვირთვას და მის განაწილებას;
- თ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის შემუშავებას, გამოცემას და ინტერნეტში განთავსებას;
- ი) ასრულებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულებით, შინაგანაწესით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და სამსახურის ხელმძღვანელის მიერ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დაკისრებულ მოვალეობებსა და ცალკეულ დავალებებს.

4.5 სასწავლო პროცესის მართვის მთავარი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) უმაღლესი განათლება - მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;

- ბ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
- გ) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

საჭირო უნარები:

- ა) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ბ) პასუხისმგებლობის გრძნობა;
- გ) კომუნიკაციის უნარი;
- დ) დროის მართვის უნარი;
- ე) გუნდური მუშაობის უნარი.

5. საზოგადოებათან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახური

5.1 უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული.

5.2 უნივერსიტეტის საშტატო განრიგით საზოგადოებათან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი;

5.3 სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი; იგი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;

5.4 საზოგადოებათან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახური უფროსის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
- ბ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
- გ) ზედამხედველობს მთავარი სპეციალისტის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;
- დ) მონაწილეობს უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხილვაში;
- ე) შეიმუშავებს და წარმართავს უნივერსიტეტის სარეკლამო პოლიტიკას;
- ვ) ამზადებს უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ბეჭდურ და ელექტრონულ სარეკლამო მასალებს;
- ზ) საუნივერსიტეტო ცხოვრების ამსახველი სრულყოფილი ინფორმაციის გავრცელების მიზნით გეგმავს და აორგანიზებს პერსკონფერენციებს, ავრცელებს პრეს-რელიზებს და აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს;
- თ) გეგმავს გრძელვადიან მედიაკამპანიებს და მასმედიასთან კომუნიკაციის სტრატეგიას;
- ი) ურთიერთობს ხელისუფლების სტრუქტურებთან, საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან;
- კ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას და უცხოეთის უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას;

ლ) უზრუნველყოფს მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან;

მ) ახორციელებს სატელევიზიო სიუჟეტებისა და პრესის მონიტორინგს;

დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის სისტემურ განახლებას;

ზ) ორგანიზებას უწევს სტუდენტების, მშობლების, საშუალო სკოლის დირექტორების, კურსდამთავრებულთა და აბიტურიენტთა შეხვედრებს უნივერსიტეტთან კავშირის დამყარების მიზნით;

თ) გეგმავს და ახორციელებს სარეკლამო-საცნობარო კამპანიას ქართველი და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით;

ი) მოიპოვებს და ავრცელებს ინფორმაციას გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სტუდენტებსა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის;

კ) მომსახურებას უწევს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული და/ან გაგზავნილ სტუდენტებსა და პროფესორებს;

ლ) თანამშრომლობს უცხოურ ორგანიზაციებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და საინფორმაციო ცენტრებთან;

მ) უზრუნველყოფს თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო და კვლევით ცენტრებთან;

ნ) შეიმუშავებს და ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის წლიურ სამოქმედო და განვითარების სტრატეგიულ გეგმებს;

ო) მოიძიებს საერთაშორისო საგრანტო პროექტებს და ხელს უწყობს მის განხორციელებაში უნივერსიტეტის ჩართვას;

პ) ორგანიზებას უწევს პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება-მასპინძლობას;

ჟ) ორგანიზებას უწევს საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებს, ფორუმებს, სიმპოზიუმებს და სხვა სახის აქტივობებს;

რ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებ სამუშაოებში.

ს) ასრულებს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის დებულებით, შინაგანაწესით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და რექტორის მიერ დაკისრებულ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებსა და ცალკეულ დავალებებს.

5.5 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის უფროსის

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები

ა) უმაღლესი განათლება (ბაკალავრის ხარისხი) მედიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის ან მომიჯნავე სფეროში.

- ბ) ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;
- გ) ქართულ ენაზე სტილისტური, გრამატიკული და სხვა სახის შეცდომების გარეშე წერის უნარი;
- დ) კომუნიკაბელობა, დამოუკიდებლად და ექსტრემალურ სიტუაციებში მუშაობის უნარი;
- ე) გუნდური მუშაობის უნარი,
- ვ) კრეატიული და ორგანიზატორული უნარ-ჩვევები;
- ზ) პრესრელიზების, საინფორმაციო განაცხადების, წლიური ანგარიშების და სხვა ბეჭდური მასალის მომზადების უნარი;
- თ) საოფისო პროგრამების სრულყოფილი ცოდნა.

5.4 საზოგადოებათან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტს თნამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

5.5 საზოგადოებათან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) გაუწიოს დახმარება სამსახურის უფროსს დაკისრებული ამოცანების შესრულებასა და მისი ფუნქციებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში;
- ბ) მონაწილეობს პერსონალურ ცვლილებების დაგეგმვა-მომზადებაში, პრეს-რელიზების მომზადებასა და აგვრცელებაში;
- გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებასთან დაკავშირებით;
- დ) უწევს მომსახურებასა და კონსულტაციებს მობილობის შედეგად ჩამოსულ ან/და გაგზავნილ პერსონალსა და სტუდენტებს;
- ე) მონაწილეობს გაცვლითი პროგრამებისთვის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ორგანიზებაში;
- ვ) მონაწილეობს საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიებაში;
- ზ) მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება- მასპინძლობაში;
- თ) მონაწილეობს უნივერსიტეტში რესპუბლიკური დონის და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სხვა აქტივობების ორგანიზებაში;
- ი) ასრულებს სამსახურის უფროსის მიერ დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

5.6 საზოგადოებათან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) უმაღლესი განათლება (ბაკალავრის ხარისხი) მედიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის ან მომიჯნავე სფეროში.
- ბ) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონე;
- გ) საოფისო პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;

საჭირო უნარები:

- ა) ქართულ ენაზე სტილისტურად გამართულად წერის უნარი;
- ბ) კომუნიკაბელურობა, დამოუკიდებლად და ექსტრემალურ სიტუაციებში მუშაობის უნარი;
- გ) გუნდური მუშაობის უნარი;
- დ) პრესრელიზების, საინფორმაციო განაცხადების, წლიური ანგარიშების და სხვა ბეჭდური მასალის მომზადების უნარი.

6. პერსონალის მართვის სამსახური

6.1 პერსონალის მართვის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესის ორგანიზებას, კოორდინაციასა და კონტროლს, შეიმუშავებს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკას, რომელიც ეყრდნობა პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს.

6.2 უნივერსიტეტის საშტატო განრიგით პერსონალის მართვის სამსახურისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი.

6.3 პერსონალის მართვის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იგი, კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

6.4 პერსონალის მართვის სამსახურის უფროსის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) შეიმუშავებს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებულ მართვის პოლიტიკას, განსაზღვრავს მისი განხორციელების წესებსა და პროცედურებს;
- ბ) შეიმუშავებს პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების პროცედურებსა და მექანიზმებს;
- გ) მონაწილეობს აფილირების წესისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებაში;
- დ) უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და რეგულაციების ხელმისაწვდომობას და მათ შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირებას;
- ე) მონაწილეობს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- ვ) შეიმუშავებს უნივერსიტეტის სტრატეგიის შესაბამისად პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს და მათი განხორციელების რეკომენდაციებით მიმართავს შესაბამის სამსახურებს;
- ზ) ადგენს თანამშრომელთა მუშაობის შედეგების შეფასების საფუძველზე მათი შრომის ანაზღაურების სტიმულებისა და წახალისების ფორმებს;
- ი) ადგენს პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამიზნე ნიშნულებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.
- კ) მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის ორგანიზებაში;

- ლ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს პერსონალის მართვის საკითხებზე;
- მ) განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით საჭირო სამტატო ერთეულებს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
- ნ) ორგანიზებას უწევს პერსონალის ატესტაციასა და საკადრო გადაადგილებას.
- ო) ადგენს, აწარმოებს და ინახავს საკადრო საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;
- ო) ადგენს უნივერსიტეტის პერსონალის პირადი საქმეებს;
- პ) შეიმუშავებს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსა და პროცესში ინტეგრაციის ეფექტურ მექანიზმებსა და პროცედურებს, უზრუნველყოფს მათ პრაქტიკაში დანერგვას;
- ჟ) ამზადებს და აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს;
- რ) აგროვებს და ამუშავებს პერსონალის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა; პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი და სხვ.).
- ს) ამზადებს პერსონალის სამსახურში მიღების, გათავისუფლების, შვებულებაში გასვლისა და შვებულებიდან დაბრუნების, საავადმყოფო ფურცელზე გადაყვანისა და სამსახურში დაბრუნების ბრძანებების პროექტებს.
- ტ) ამზადებს პასუხებს შემოსულ კორესპონდენციაზე კომპეტენციის ფარგლებში.
- უ) აკონტროლებს საკადრო საკითხებთან დაკავშირებით ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორეს;
- ფ) პასუხისმგებელია თანამშრომლების მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის დაცვაზე, ძირითადი ფუნქციების, მოვალეობებისა და რექტორის მიერ მიღებული დავალებების შესრულებაზე;
- ქ) რეაგირებას ახდენს პერსონალის მიერ გაცდილილ სამუშაო საათებზე;
- ღ) უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს და რექტორის ცალკეულ დავალებებს;
- ყ) უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
- ჩ) ასრულებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის სამსახურის დებულებით, შინაგანაწესით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და რექტორის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დაკისრებულ მოვალეობებსა და ცალკეულ დავალებებს.

6.5 პერსონალის მართვის სამსახურის უფროსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღნიშნულ სფეროში მუშაობის 1 წლის გამოცდილება;
- გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
- დ) ინგლისური ენის B 2 დონეზე ცოდნა;
- ე) საქართველოს შრომის კოდექსის ცოდნა.

საჭირო უნარები:

- ა) კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ბ) გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გ) გუნდური მუშაობის უნარი;
- დ) კონფლიქტების მართვის უნარი;
- ე) კომუნიკაციის უნარი.

6.6 პერსონალის მართვის სამსახურის მთავარ სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

6.7 პერსონალის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) ადგენს უნივერსიტეტის პერსონალის პირად საქმეებს;
- ბ) აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს;
- გ) მონაწილეობს პერსონალის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაში (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა; პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი და სხვ.).
- დ) მონაწილეობს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების გამოკითხვისა და კვლევის შედეგების ანალიზში.
- ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა ფუნქციებსა და დავალებების შესრულება.

6.8 პერსონალის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- ბ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
- დ) ინგლისური ენის B 2 დონეზე ცოდნა;

საჭირო უნარები:

- ა) გუნდური მუშაობის უნარი;
- ბ) კონფლიქტების მართვის უნარი;

- გ) კომუნიკაციის უნარი;
- დ) დროის მართვის უნარი.

7. საქმისწარმოების სამსახური

7.1 საქმისწარმოების სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ერთიანი საქმისწარმოების განხორციელებას.

7.2 უნივერსიტეტის საშტატო განრიგით საქმისწარმოების სამსახურისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი;

7.2 საქმისწარმოების სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი; იგი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

7.3 საქმისწარმოების სამსახურის უფროსის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) სრულყოფს დოკუმენტებზე მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს მოქმედი ნორმატივების შესაბამისად;
- ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ერთიან საქმისწარმოებას, ახორციელებს დოკუმენტების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციის, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას;
- გ) წარმართავს არქივის საქმიანობას, უზრუნველყოფს არქივისათვის მიკუთვნებული დოკუმენტების გადაცემას, დაცვას, ცენტრალიზებული აღრიცხვას, აღწერას.
- დ) განიხილავს შემოსულ კორესპონდენციას და ორგანიზებას უწევს ადრესატისთვის მისი წარდგენას;
- ე) აკონტროლს უწევს ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორეს;
- ვ) აკონტროლებს მოქმედი ნორმატივების შესაბამისად, კორესპონდენციის დადგენილ ვადაში გაფორმებას, დოკუმენტბრუნვის ვადების დაცვას;
- ზ) უზრუნველყოფს დოკუმენტების კონტროლზე აყვანას, შემსრულებლებისთვის მათი დროული მიწოდებას, დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს, შედეგების შესახებ ცნობების განზოგადებას და უნივერსიტეტის რექტორის სისტემატურ ინფორმირებას;
- დ) ორგანიზებას უწევს დოკუმენტებზე მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფას - დაბეჭდვას, ასლის გადაღებასა და ოპერატიულ გამრავლებას;
- ე) აღრიცხავს დიპლომებს, დიპლომის დუბლიკატებს, აწარმოებს მათი გაცემის ჟურნალს;
- ვ) ახორციელებს ფორმების გამოცვლისა და ჩამოწერის პროცესს;
- ზ) ადმინისტრირებას უწევს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამას;
- თ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმეთა შენახვასა და დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიულად გამოყენებას;
- ი) ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის არქივის მუშაობას;
- კ) წარმართავს საქმისწარმოების სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებს.
- ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს სტრუქტურული ერთეულების მიერ უნივერსიტეტში დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების შესრულებას;

- მ) გამოითხოვს სტრუქტურული ერთეულებიდან საქმისწარმოების სამსახურის მუშაობისათვის საჭირო ცნობებს;
 - ნ) მონაწილეობს უნივერსიტეტში იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება დოკუმენტებზე მუშაობის მდგომარეობას, მათზე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.
 - ო) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს და აკეთებს დოკუმენტების ვიზირებას;
 - პ) ანაწილებს მოვალეობებს საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს;
 - ჟ) ახორციელებს სხვა ფუნქციებსა და დავალებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
- 7.4 საქმისწარმოების სამსახურის უფროსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:
- ა) უმაღლესი განათლება;
 - ბ) აღნიშნულ სფეროში მუშაობის 1 წლის გამოცდილება;
 - გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS Office – Word, Outlook, eflow) ცოდნა;
 - დ) საქმისწარმოების ერთიანი წესის ცოდნა;
 - ე) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

საჭირო უნარები:

- ა) ორგანიზებულობა და დინამიურ სამუშაო რეჟიმში მუშაობის უნარი;
- ბ) ეფექტური კომუნიკაციის უნარი (ზეპირი და წერილობითი);
- გ) გუნდური მუშაობის უნარი;
- დ) სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტირებულობა;
- ე) პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულობა.

7.5 საქმისწარმოების სამსახურის სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

7.6 საქმისწარმოების სამსახურის სპეციალისტის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) განიხილავს შემოსულ კორესპონდენციას და ორგანიზებას უწევს ადრესატისთვის მისი წარდგენას;
- ბ) აღრიცხავს შემოსულ დოკუმენტებს, უზრუნველყოფს შემსრულებლებისთვის მათ დროული მიწოდებას;
- დ) ორგანიზებას უწევს დოკუმენტებზე მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფას - დაბეჭდვას, ასლის გადაღებასა და ოპერატიულ გამრავლებას;
- ე) ადმინისტრირებას უწევს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამას;
- ვ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმეთა შენახვასა და დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიულად გამოყენებას;
- ზ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს სტრუქტურული ერთეულების მიერ უნივერსიტეტში დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების შესრულებას;

თ) გამოითხოვს სტრუქტურული ერთეულებიდან საქმისწარმოების სამსახურის მუშაობისათვის საჭირო ცნობებს;

ი) ახორციელებს სხვა ფუნქციებსა და დავალებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

7.7 საქმისწარმოების სამსახურის სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

საჭირო უნარები:

ა) ორგანიზებულობა და დინამიურ სამუშაო რეჟიმში მუშაობის უნარი;

ბ) ეფექტური კომუნიკაციის უნარი (ზეპირი და წერილობითი);

გ) გუნდური მუშაობის უნარი;

დ) სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტირებულობა;

ე) პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულობა.

8. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი

8.1 სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტელექტუალური რესურსის, როგორც უნიშვნელოვანესი აქტივის გამოყენებას;

8.2 უნივერსიტეტის საშტატო განრიგით სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი;

8.3 სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; იგი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე.

8.5 სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის უფროსის სამუშაოს აღწერილობა:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) ადგენს წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდარს;

გ) შეიმუშავებს ცენტრის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებს;

დ) შეიმუშავებს ცენტრის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და სახავს მათი განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებებს;

ე) გეგმავს და ორგანიზებას უწევს დასაქმების ფორუმს;

ვ) აწყოფს დამსაქმებელთან მიზნობრივ შეხვედრებს;

- ზ) ავრცელებს ინფორმაციას დამსაქმებლის მიერ მოწოდებული ვაკანტური ადგილების შესახებ და შესაბამისად უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ინფორმირებულობას;
- თ) რეგულარულად აანალიზებს შრომის ბაზრის დინამიკას და მონიტორინგს უწევს არსებულ ვაკანსიებს;
- ი) სტარტაპების, ინკუბატორების და პრე-აქსელატორების შექმნის მიზნით აწარმოებს დონორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მოზიდვას;
- კ) გეგმავს და ახორციელებს სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტული თემატური ღონისძიებებს;
- ლ) ატარებს შრომის ბაზრის კვლევის მიზნით სტუდენტებისა და დამსაქმებლების პერიოდული ანკეტირება-გამოკითხვას სხვადასხვა სპეციალობების ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების დადგენის მიზნით;
- მ) შეზრუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ.) დასაქმების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფს მათ აღრიცხვას და შეიმუშავებს პერსონალიზებულ მიდგომებს დამსაქმებელთან;
- ნ) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის კავშირურთიერთობის უზრუნველსაყოფად მოიძიებს მათ შესახებ საკონტაქტო ინფორმაციას, ამუშავებს და ახდენს მათ სისტემატიზაციას;
- ო) თანამშრომლობს სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებთან, კერძო სექტორში ფუნქციონირებად კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების მიზნით;
- პ) უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, მათთვის ტრენინგ-კურსების შეთავაზებით;
- ჟ) კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის იდეის პოპულარიზაცია და უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
- რ) კურსდამთავრებულთა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მათთვის სპეციალური პროგრამული/პროფესიული გადამზადების კურსების შეთანაზება;
- ს) მოკლევადიანი, ალტერნატიული, მოქნილი და მრავალფეროვანი ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და დანარგვა;
- ტ) ასრულებს უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის დებულებით, შინაგანაწესით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და რექტორის მიერ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დაკისრებულ მოვალეობებსა და ცალკეულ დავალებებს.

8.6 საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) უმაღლესი განათლება - მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;
- ბ) უსდ მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;
- გ) ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე;
- დ) უმაღლესი განათლების კანონის, სდასუ-ში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების ცოდნა;
- ე) საოფისე პროგრამების ცოდნა.

საჭირო უნარები:

- ა) ორგანიზაციული მართვის უნარი;
- ბ) ეფექტიანი კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი;
- გ) ლიდერობის უნარი.

8.7 სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამათავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მთავარი სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

8.8 სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამათავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მთავარი სპეციალისტის სამუშაოს აღწერილობა:

- ა) მოიძიებს ინფორმაციას სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ;
- ბ) მოიძიებს ინფორმაციას უნივერსიტეტის კურსდამათავრებულთა დასაქმების შესახებ;
- დ) მონაწილეობს სტუდენტებისა და კურსდამათავრებულების ტრენინგების ჩატარების ორგანიზებაში;
- ე) კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე;
- ვ) ქმნის დამსაქმებელთა ერთიან მონაცემთა ბაზას დეტალური საკონტაქტო ინფორმაციით;
- ზ) სტუდენტის თანხმობით და პერსონალურ მონაცემთა დაცვით უზრუნველყოფს სტუდენტის მონაცემების გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის მოიძიებს სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობებს;
- თ) ახორციელებს სტუდენტთა და კურსდამათავრებულთა ანკეტურ გამოკითხვებს და ინტერვიუების ორგანიზებას, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს;
- ი) ახორციელებს კურსდამათავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების დონის კვლევას.
- კ) ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებულ სხვა სამსახურებრივ მოვალეობებს.

8.9 სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამათავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მთავარი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები:

- ა) უმაღლესი განათლება - ბაკალავრის ხარისხი;
 - ბ) ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე (მეტყველება, წერა, საუბარი).
 - გ) საოფისე პროგრამების ცოდნა.
- საჭირო უნარები:
- ა) ეფექტიანი კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი;
 - ბ) დეტალებზე ორიენტირებულობა;
 - გ) პასუხისმგებლობა.

9. მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის სამსახური

- 9.1 მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოს უნივერსიტეტის ქონების მფლობელობისა და სარგებლობის ოპტიმალური რეჟიმს;
- 9.2 უნივერსიტეტის საშტატო განრიგით მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის სამსახურისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე და სპეციალისტი.
- 9.3 მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 9.4 მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამუშაოს აღწერილობა:
- ა) ქმნის უნივერსიტეტში სათანადო მატერიალურ-ტექნიკური პირობებს და მონიტორინგს უწევს ბალანსზე რიცხულ მატერიალურ ფასეულობებს;
 - ბ) შესწავლის უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესაძლებლობებს და შესაბამის წინადადებებს წარუდგენს რექტორს;
 - გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვას;
 - დ) ორგანიზაციას უწევს უნივერსიტეტის შენობის კომუნალურ-სამეურნეო მომსახურებას;
 - ე) კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს უნივერსიტეტის შენობის მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებებს;
 - ვ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვას, ინვენტარის და ტექნიკური საშუალებების პერიოდულად განახლებას;
 - ზ) განსაზღვრავს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მოთხოვნების სავარაუდო მოცულობებს უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრაციული სტრუქტურების მოთხოვნის საფუძველზე და წინადადებებს წარუდგენს რექტორს;
 - თ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ შესყიდული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მონიტორინგს;
 - ი) ხელს უწყობს უნივერსიტეტის საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების და კომუნიკაციების საშუალებით მის გამართულ ფუნქციონირებას;

კ) უზრუნველყოფს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის და ტექნოლოგიების რეგისტრაცია-აღრიცხვას, ოპტიმალურ განაწილებას, მონიტორინგსა და სტაბილურ ფუნქციონირებას;

